

ღანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და
ინფრასტრუქტურის კომისია

2800 ღანჩუთი, კოსტავას 37 0 494 22 30 19

N 661
27/12/2016

661-07-3-201612271604



ღანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ხელაძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 23 დეკემბერს მოწვეულ იქნა ღანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

დანართი: სხდომის ოქმი №10 – 12(თორმეტი) ფურცელი
დასკვნა №10-2(ორი)

პატივისცემით,
ბესიკ ტაბიძე

კომისიის თავმჯდომარე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა
და ინფრასტრუქტურის კომისიის
სხდომის ოქმი №10**

ქ.ლანჩხუთი

23.12.2016 წელი

სხდომას ესწრებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე.

კომისიის წევრები:თემურ მარშანიშვილი,კახა ურუშაძე,ჯუმბერ ბლაგიძე, ნიკოლოზ იმნაძე,ელისო ჭიჭინაძე,გურამ კერესელიძე,დარეჯან ბურჭულაძე,თეიმურაზ ალექსაია,გიორგი გოგუაძე,აკაკი იმნაიშვილი,იოსებ სარჯველაძე.

მოწვეული: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი,გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე,გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის,ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „ლანჩხუთი-სერვისის“ დირექტორი თენგიზ ჭიჭილეიშვილი,ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „ტექ-სერვისის“ დირექტორი ირაკლი ჩხაიძე.
კომისიის სხდომას არ ესწრებოდნენ დეპუტატები:ემზარ თევდორაძე,ნონა მურვანიძე.

კომისიის თავმჯდომარემ,ბესიკ ტაბიძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ბესიკ ტაბიძე/

2.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სოციალურ-კულტურულ დონისძიებათა პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ბესიკ ტაბიძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ბესიკ ტაბიძე

4.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ბესიკ ტაბიძე

5.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ბესიკ ტაბიძე/

6.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო საამღზრდელო ცენტრი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ბესიკ ტაბიძე/

7.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2017 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ბესიკ ტაბიძე/

8.ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „ლანჩხუთი-სერვისის“ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: ბესიკ ტაბიძე/

9. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „ტექ-სერვისის“ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: ბესიკ ტაბიძე/

10.სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს: მომხრე 12, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თამარ ფირცხალაიშვილმა.მან აღნიშნა, რომ სამსახურის მიერ მომზადდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სოციალური პროგრამების პროექტი. სულ წარმოდგენილია 12 პროგრამა. ეს პროგრამებია:

1. მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა. პროგრამის მიზანს წარმოდაგენს ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები და რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი მოხუცების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დღეში ერთჯერადი კვება

უფასო სასადილოში. ასევე მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში 38 ბენეფიციარის კვება კვირაში ორჯერ ოჯახში მიტანით. ამისათვის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 100 ათასი ლარი. პროგრამით ისარგებლებს 98 ბენეფიციარი;

2. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა. პროგრამის მიზანია მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური ხელშეწყობა, რაც აუმჯობესებს დემოგრაფიულ მდგომარეობას. პროგრამით მიმდინარე წელს სარგებლობს 29 ოჯახი. აქ ბიუჯეტში გათვალისწინებულია 37 200 ლარი. ეს არის ისეთი ოჯახები, რომელთაც 4 და მეტი შვილი ჰყავთ 18 წლამდე და არ არიან სოციალური შემწეობის მიმღები ოჯახები.

3. მიმღე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები და რეგისტრირებული, ხანძრისა და მეწყერისაგან დაზარალებული, ასევე საცხოვრებლად უვარგისი სახლების მქონე ოჯახების დახმარება. ბენეფიციარებზე ბინის ქირის გადახდა არაუმეტეს 100 ლარისა, პროგრამით მიმდინარე წელს სარგებლობს 33 ბენეფიციარი, რისთვისაც მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 41 ათასი ლარი.

4. სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანთა დახმარების პროგრამა; პროგრამის მიზანია სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარება. პროგრამით ისარგებლებს 60 ბენეფიციარი.

5. მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა. პროგრამის მიზანია მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხელშეწყობა. პროგრამით სარგებლობს ერთი სკოლა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზია. პროგრამა ხელს უწყობს ბავშვების ჯანმრთელობასა და განათლების სრულფასოვნად მიღებას, სულ სარგებლობს 29 მოსწავლე. ბიუჯეტში გათვალისწინებული არის 5400 ლარი

6. ცენტრ „იავნანას“ თანადაფინანსების პროგრამა; პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ცენტრ იავნანაში დარეგისტრირებული, სოციალურად დაუცველი 24 ბავშვის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობა. პროგრამა ნაწილობრივ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ცენტრს დამატებით ესაჭიროება კომუნალური და მიმდინარე ხარჯების დაფინანსება. წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული იქნება ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირის და სხვა გადასახადები, ასევე დაფინანსდება ცენტრისათვის ყოველთვიურად ჰიგიენისა და ყოველდღიური მოხმარების საგნების ღირებულება.

7. ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა. პროგრამის მიზანია თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა ტრანსპორტირების დაფინანსება ჰემოდიალიზის ჩასატარებლად. პროგრამით მიმდინარე წელს სარგებლობს 21 ბენეფიციარი და გათვალისწინებულია ბიუჯეტში 36 228 ლარი.

8. იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა. პროგრამის მიზანია იძულებით გადაადგილებულ პირთა ფინანსური დახმარება. ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ერთჯერადად საშემე მერქნის შესაძენად მიიღებენ ფინანსურ დახმარებას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში დარეგისტრირებულია სულ ასეთი 64 ოჯახი ბიუჯეტში გათვალისწინებულია 12 800 ლარი.

9. სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებული მოქალაქეების სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარება. გეგმიური და გადაუდებელი სტაციონალურ-ამბულატორიული მომსახურეობა და ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევების სადაზღვევო პროგრამით დაუფინანსებელი თანხის თანადაფინანსება. მათ შორის არის „ცე ჰეპატიტით“ დაავადებულთა თანადაფინანსება, სამკურნალო-საოპერაციო ხარჯებით მოხმარებისათვის გათვალისწინებულია 70 ათასი ლარი, ხოლო „ცე ჰეპატიტით“ დაავადებულთათვის გათვალისწინებული არის 10 ათასი ლარი.

10. მიმღე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა. პროგრამის მიზანია ბენეფიციარზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა. ამავე პროგრამის ფარგლებში შერჩეულ ბენეფიციარებს დახმარება გაეწევა ავარიულ მდგომარეობაში არსებული და სტიქიით დაზიანებული საცხოვრებელი სახლის მოწესრიგებაში. ასევე დახმარებას მიიღებენ ისეთი

ოჯახები, რომლებსაც მინდობით აღზრდაში ჰყავთ ბავშვები, რომლებიც ბრუნდებიან თავიანთ ოჯახებში ანუ ხდება ამ ბავშვების რეინტეგრაცია. ამ ოჯახების საყოფაცხოვრებო პირობების გათვალისწინებით მოხდება მათზე ასევე ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა. ამისათვის გათვალისწინებულია ბიუჯეტში 65 ათასი ლარი.

11. ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა მუშუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის. პროგრამის მიზანია მუშუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების რეაბილიტაცია და მხარდაჭერა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნაადრევ ეტაპზე კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების მხარდაჭერას მათი შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით. პროგრამა ითვალისწინებს სარეაბილიტაციო ვარჯიშების ტრენინგს, ფსიქოლოგიურ ტრენინგს, მონაწილეობას მხარდაჭერ საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებებში, სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებში. დამატებითი გამოკვლევებისათვის ასევე ფინანსურ მხარდაჭერას. ამისათვის გათვალისწინებულია პროგრამებით 20 ათასი ლარი.

12. ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა.

პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებული 100 და მეტი წლის ასაკის გადაცილებული ხანდაზმულების ერთჯერადად დახმარება. მუნიციპალიტეტში ასეთი სულ 4 ხანდაზმულია. მათთვის გათვალისწინებულია დახმარება 200 ლარის ოდენობით.

გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა** აღნიშნა, რომ სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებულ მოქალაქეებს, რომლებსაც ესაჭიროება ოპერაციული ჩარევა და სადაზღვევოს მიერ თანხა არ უფინანსდება ან უფინანსდება ნაწილობრივ, სამედიცინო დაწესებულების ანგარიშზე ჩაერიცხება წარმოდგენილი ღირებულების 50% არაუმეტეს 500 ლარისა. ასევე ბენეფიციართათვის, რომლებსაც ესაჭიროება გადაუდებელი სტაციონალურ-ამბოლატორიული მომსახურება და ლაბორატორიულ-ინტრუმენტული კვლევები, მათ შორის ცეპვატიტით დაავადებულ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეებს დიაგნოსტიკური კვლევების ჩასატარებლად, მკურნალობის პრაქტიკის განსაზღვრისათვის სადაზღვევო პროგრამით დაუფინანსებელი თანხის თანადაფინანსება განისაზღვრება 50%-ით არაუმეტეს 500 ლარისა. მან ასევე აღნიშნა, რომ არის ინიციატივა, რომ სამამულო ომის ვეტერანებს, რომელთა რაოდენობა მუნიციპალიტეტში შეადგენს 13 ადამიანს მიეცეთ ყოველთვიური დახმარება 50 ლარის ოდენობით, რომლისთვისაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან საჭიროა გამოიყოს დაახლოებით 8 000 ლარი.

დეპუტატი ელისო ჭიჭინაძე დაინტერესდა მიმდომ ოჯახიდან წამოსული ბავშვებისათვის მუნიციპალიტეტი გასცემდა თუ არა 65 ათასი ლარის ოდენობის დახმარებას, რაზეც სამსახურის უფროსმა თამარ ფირცხალაიშვილმა განმარტა, რომ სახელმწიფო ამ ბავშვებს უხდის კონკრეტულ თანხას. ხშირ შემთხვევაში ასეთი ოჯახები არის სოციალურად დაუცველთა კატეგორია და საყოფაცხოვრებო პირობების გათვალისწინებით მოხდება მათზე ერთჯერადი დახმარების გაწევა.

დეპუტატმა დარეჯან ბურჭულაძემ აღნიშნა, რომ ერთჯერადი დახმარებები არის მრავლის მომცველი, უფრო კარგი და კეთილშობილი იქნებოდა ბიუჯეტი, რომ ჩაშლილიყო ის ცალკეულ პროგრამებად, რაღაც მიზანმიმართულად, მიზნობრივი ჯგუფების გათვალისწინებით. მისი აზრით, როცა პროგრამულად იქნება გაწერილი რაღაცეები, ის მოხმარდება სამიზნე ჯგუფებს. მან ასევე აღნიშნა, რომ ინიციატივები დღევანდელ საკრებულოში არ მოსწონთ. მისი განმარტებით ისინი იმიტომ არიან დეპუტატები, იმიტომ აქვთ ხალხისაგან მიცემული მანდატი, რომ მათთვის სასიკეთო ინიციატივები განხორციელებულიყო ამ სამი წლის განმავლობაში. იგი მიესალმება თითოეული დეპუტატის მხრიდან წამოსულ ნებისმიერ ინიციატივას, რომელიც მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასა და წინსვლას წაადგება. დეპუტატი იმედს იტოვებს, რომ მომავალი საკრებულო უფრო გონივრულად მიუდგება ბიუჯეტს, ვიდრე ისინი ამ სამი წლის განმავლობაში იყვნენ.

დეპუტატი გიორგი გოგუაძე დაინტერესდა თუ რა ოდენობის იყო სოციალურის მიმდინარე წლის ბიუჯეტი?, რაზეც თამარ ფირცხალაიშვილმა განმარტა, რომ თანხა განისაზღვრა 442 ათას 800 ლარის ოდენობით.

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ ასევე აღნიშნა, რომ ლანჩხუთზე უფრო მწირი ბიუჯეტი აქვს ჩოხატაურს, მაგრამ სოციალური პაკეტი უფრო დიდი აქვთ, იგი დაინტერესდა მათი მხრიდან იყო თუ არა ინტერესი ამ საკითხისადმი.

დეპუტატი გიორგი გოგუაძე ასევე დაინტერესდა თუ რა კრიტერიუმებით იქნა შერჩეული ის 38 ბენეფიციარი, რომლებსაც საკვები კვირაში ორჯერ სახლში ეგზავნებათ, მაშინ როცა ხორციელდება 8 მილიონიანი ბიუჯეტის დამტკიცება. მისი აზრით სამარცხვინოა ყოველივე ეს აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის. სამსახურის უფროსმა თამარ ფირცხალაიშვილმა განმარტა, რომ ყველა ეს ადამიანი არის სოციალურად დაუცველი 37 ათასამდე სარეინტიგო ქულით.

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ ასევე აღნიშნა, რომ 10 ათასი ლარი ვერ იქნა გახარჯული სოც-კულტურული ღონისძიებებიდან. იგი დაინტერესდა რა ღონისძიება იყო დაგეგმილი, რომელიც არ შესრულდა და 10 ათასი ლარი გადატანილი იქნა ერთჯერად დახმარებებზე, რაზეც თამარ ფირცხალაიშვილმა განმარტა, რომ ეს თანხები არ გაიხარჯა წლის განმავლობაში და მათზე მიმართულება უნდა გაკეთებულიყო. მისი განმარტებით ეს არის მიზნობრივი პროგრამები მაგალითად 5000 ლარი დარჩა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების პროგრამაში. მან აღნიშნა, რომ შექმნილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პროგრესის ვექტორი, რომელიც ახორციელებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან პროგრამებსა და პროექტებს. მათი მხრიდან თუკი მოხდებოდა პროექტის შემოტანა დაფინანსდებოდა, მაგრამ სამწუხაროდ ვერ მოახერხეს მიზნების გამო და ამიტომაც თანხა მთლიანად აუთვისებელი დარჩა.

დეპუტატ ჯუმბერ ბლაგიძეს მართებულად მიაჩნია, რომ მოხდეს ერთჯერად დახმარებებზე თანხის დამატება. იგი დაინტერესდა რამდენი იყო ერთჯერად დახმარებებზე დაგეგმილი 2017 წელში, რაზეც თამარ ფირცხალაიშვილმა განმარტა, რომ გამოყოფილია 65 ათასი ლარი, რომელიც ასევე სახლების რეაბილიტაციას მოხმარდება.

დეპუტატმა დარეჯან ბურჭულაძემ აღნიშნა, რომ იგი არ დაასახელებდა იმ ადამიანის ვინაობას (რადგან ამ ადამიანიდან ნებართვა არ ჰქონდა მიცემული), რომელმაც რეგისტრაციიდან ლანჩხუთში მოიხსნა თავი და გადამისამართდა თბილისში, იმიტომ რომ მას ესაჭიროება ყოველდღიური მკურნალობა, ვინაიდან მძიმედ დაავადებულია. მისი განმარტებით იმ ხარჯებს, რაც აქ პროგრამაშია მითითებული თბილისის მერია და თითქმის ყველა მუნიციპალიტეტი უნაზღაურებს. თვლის, რომ თუკი ასე გაგრძელდა ამომრჩეველიც არ დარჩება რაიონში. მისი განმარტებით, რა თქმა უნდა მოიხსნის რეგისტრაციიდან ადამიანი თავს და გადამისამართდება იქ, სადაც უკეთეს სოციალურ პაკეტს შესთავაზებენ.

დეპუტატმა ელისო ჭიჭინაძემ აღნიშნა, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში ნებისმიერ მოქალაქეს ნებისმიერი ქალაქის ნებისმიერ კლინიკაში აქვს უფლება იყოს მიბმული. მანვე აღნიშნა, რომ სამწუხარო პრეცედენტია, რომ ონკოლოგიური პაციენტები აღრიცხვაზე ფოთში მიდიან.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გათვალისწინებით.

სხდომის თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 11 ,

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ თუკი მოხდება 100 ათასი ლარით სოციალური პაკეტის გაზრდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუჭერდა მას მხარს.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის სხდომას გააცნო გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თამარ ფირცხალაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ სამსახურის მიერ მომზადდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების პროექტი. სულ წარმოდგენილია 9 პროგრამა. ეს პროგრამებია:

1. საჩუქრებისა და პრიზების შეძენის პროგრამა. პროგრამის მიზანს წარმოადგენს სხვადასხვა სახის ღონისძიებებზე და სადღესასწაულო დღეებზე ლანჩუთელი სპორტსმენებისა და ახალგაზრდების წარმატების წახალისება სხვადასხვა პრიზითა თუ ფასიანი საჩუქრით. ამისათვის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 2000 ლარი.

2. ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსების პროგრამა. პროგრამის მიზანია ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტის ფინანსური მხარდაჭერა თანადაფინანსებით. გათვალისწინებულია 2000 ლარი.

3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამა. პროგრამის მიზანია შ.შ.მ. ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაცია. მათში სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. ნიჭიერი ახალგაზრდების მოტივირება. არაფორმალური განათლების მიღება, სპეციალური გადამზადება და შემეცნებითი აქტივობები. გათვალისწინებულია 4000 ლარი.

4. სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ჩატარების პროგრამა. პროგრამის მიზანია მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტში მასობრივი ჩართვა და სასკოლო სპორტის განვითარების ხელშეწყობა, მოზარდ თაობაში და საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება. გათვალისწინებულია 3000 ლარი.

5. წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების წახალისების პროგრამა. პროგრამის მიზანია ყველა წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების წახალისება ფულადი დაჯილდოთი, რაც ხელს შეუწყობს სპორტის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, ახალგაზრდა სპორტსმენებში მოტივაციის გაზრდას, იყვნენ წარმატებულები. გათვალისწინებულია 4000 ლარი.

6. შემოქმედთა წახალისების პროგრამა. პროგრამის მიზანია სხვადასხვა სახის კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებით ღონისძიებებზე და სადღესასწაულო დღეებზე მოსწავლე-ახალგაზრდებისა და შემოქმედთა წარმატებების წახალისება, მათ შორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იმ ახალგაზრდებისა, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გათვალისწინებით მიიღებენ სახელმწიფო 100% გრანტს. ასევე წარმატებული ახალგაზრდების წახალისება ფულადი დაჯილდოთი, სხვადასხვა პრიზითა თუ ფასიანი საჩუქრით. გათვალისწინებულია 4000 ლარი.

7. ტრანსპორტირებით დახმარების პროგრამა. პროგრამის მიზანია მოქალაქეთა კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებით ღონისძიებებში მონაწილეობისათვის ტრანსპორტირებით ხელშეწყობა. გათვალისწინებულია 4000 ლარი.

8. კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსების პროგრამა. პროგრამის მიზანია მოქალაქეთა კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების განხორციელების ხელშეწყობა თანადაფინანსების გზით. გათვალისწინებულია 3000 ლარი.

9. სოც-კულტურული ღონისძიებების ორგანიზების პროგრამა. პროგრამის მიზანია ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ სხვადასხვა ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავი ღონისძიებების გამართვა. გათვალისწინებულია 4000 ლარი.

მან აღნიშნა, რომ სულ სოც-კულტურული ღონისძიებათა პროგრამების ბიუჯეტი განისაზღვრა 30000 ლარით, ანუ გასულ წელთან შედარებით მოხდა შემცირება. (30000 ლარით).

კომისიის წევრებმა მიმართეს სამსახურის უფროსს წარმოდგინა იმ ოდენობის თანხა, რასაც საჭიროდ თვლიდა და მათი მხრიდან იქნებოდა მხარდაჭერილი. დეპუტატებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ისინი კარგი საქმის შესრულების წინააღმდეგი არასდროს იყვნენ.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი მიღებულ იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 10 , წინააღმდეგი 2 (გიორგი გოგუაძე, დარეჯან ბურჭულაძე).

დღის წესრიგის მესამე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ 2017-2020 წწ-ში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
- განათლება;
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს სოფლის მოსახლეობისათვის წყლის მიწოდების უზრუნველყოფა, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება წყალსადენის შიდა ქსელის მოვლა შენახვა. სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; ღია ნაგავსაყრელის პოლიგონის მოვლა, სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიებების ჩატარებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნარჩენების დაგვა-დასუფთავება და მისი ოპერატიულად გატანა. მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა.

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა.

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდობში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარებას.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ ცნობად იქნა მიღებული.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის გამგეობამ განიხილა მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში განხილვისას გამოთქმული შენიშვნები, წინადადებები და არსებული რეალობის გათვალისწინებით შედგენილი იქნა 2017 წლის ბიუჯეტის კორექტირებული პროექტი, რომლის ფორმირებაში მონაწილეობა მიიღეს საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციის თავმჯდომარეებმა და დაინტერესებულმა საკრებულოს წევრებმა. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი წარმოდგენილია საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად, რომელიც მთლიანობაში აერთიანებს შემდეგ ქვეკატეგორიებს: შემოსავლების კლასიფიკაციას, ხარჯების ეკონომიკურ კლასიფიკაციას, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებით ოპერაციების ფუნქციონალურ კლასიფიკაციას, არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციას. მან აღნიშნა, რომ 2017 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 8286,6 ათ.ლარის ოდენობით.

გადასახადები-1550.0 ათ. ლარი

- საშემოსავლო გადასახადი 550.0 ათ.ლარი
- ქონების გადასახადი- 1000.0 ლარი
- საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) -400.0 ათ. ლარი
- ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადი -10.0 ათ.ლარი
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე -90 ათ.ლარი
- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე-500.0 ათ.ლარი

გრანტები- 5574,2 ათ. ლარი

- გათანაბრებითი ტრანსფერი-5354,2 ათ.
- მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად -220.0 ათ. ლარი.

სხვა შემოსავლები-1162.4 ათ. ლარი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ხარჯები პროექტით განსაზღვრულია 8319.9 ათ. ლარი

- შრომის ანაზღაურება-1837.4 ათ. ლარი
- საქონელი და მომსახურება - 816.7 ათ. ლარი
- სუბსიდიები-5324.4 ათ. ლარი
- სოციალური უზრუნველყოფა- 326.3 ათ.ლარი
- სხვა ხარჯები- 15.1 ათ. ლარი

წარმოდგენილი პროექტით არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 293.3 ათ. ლარს

- არაფინანსური აქტივების კლება - 460.0 ათ. ლარი
- არაფინანსური აქტივების ზრდა- 166,7 ათ.ლარი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტით ვალდებულების კლება განსაზღვრულია 357,2 ათ. ლარი

მან ასევე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებასა და ნარჩენების გატანაზე, მუნიციპალიტეტში არსებული სკვერების მოვლასა და გამწვანების სამუშაოების ჩატარებაზე, სასაფლაოს მოვლა-პატრონობაზე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის მაწანწალა მალეებისაგან გასუფთავებაზე მიიმართება 550,0 ათ. ლარი, გარე განათების გახარჯული ელექტროენერჯის ანაზღაურებაზე მიიმართება 170,0 ათ. ლარი, ამასთან გარე განათების მოვლა

პატრონობის ხარჯზე მიიმართება 450,0 ათ. ლარი, საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმისა და მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობისათვის მიიმართება 129,0 ათ. ლარი.

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებისათვის პროექტით გათვალისწინებულია 130,0 ათ. ლარი

სოციალური დაცვის პროგრამებისათვის გათვალისწინებულია 448,7 ათ. ლარი

განათლების პროგრამები - დაგეგმილია 2054,0 ათ. ლარი

სპორტული პროგრამებისათვის გათვალისწინებულია 780,0 ათ. ლარი, რომელიც მიმართული იქნება: სპორტული ცენტრის, საფეხბურთო სკოლის დაფინანსებაზე.

კომისიის თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ აღნიშნა, რომ ძირითად საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას 2017 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით გადაწყვეტილება არ მიუღია, რადგან გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ გააკეთა განმარტება, რომ საქართველოს მთავრობის 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ კანონის 23-ე მუხლის „ზ“ და „ვ“ ქვეპუნქტების მოთხოვნების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში მიმდინარეობს კორექტირება ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 12, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო საამღზრდელო ცენტრი“-ათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურიამ. მან აღნიშნა, რომ 2016 წლის 16 ნოემბერს გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულების თანახმად ა(ა)იპ „ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბმა“ პროექტ „მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა საბავშვო ბაღების მენეჯმენტში“, რომელიც ხორციელდება მცირე გრანტების პროგრამის „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში“ (RLD) ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისისა (SCO) და ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADC) დაფინანსებით, დაფინანსებულია გაეროს განვითარების ფონდის (UNDP) მიერ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს საჩუქრად გადასცა ნიგვზიანის და შუხუთის საბავშვო ბაღებისათვის 10 000 ლარის ღირებულების ხანგრძლივი გამოყენების ნივთები. მან განმარტა, რომ ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე სამსახურის მოსაზრებაა აღნიშნული ნივთები გადაეცეს ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ საგანმანათლებლო საამღზრდელო ცენტრს“ სარგებლობის უფლებით.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 12, წინააღმდეგი არცერთი.

კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით სხდომა დატოვებს დეპუტატებმა: გიორგი გოგუაძე, ელისო ჭიჭინაძე.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2017 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა ლევან ჩხაიძემ. მან აღნიშნა, რომ აქ წარმოდგენილია მომავალ წელს ინფრასტრუქტურით განსახორციელებელი პროექტების ნუსხა. მისი განმარტებით პირველი ექვსი პროექტი არის გარდამავალი, დამატებული იქნა მხოლოდ ორი პროექტი, რომელიც ქალაქის ტერიტორიაზე გზების კეთილმოწყობას ითვალისწინებს. აქვე აღნიშნა, რომ მისი ინფორმაციით თანხა, რომელიც ნუსხაშია ნაჩვენები გამოყოფილად არის პირველი ეტაპის, რომლის პროექტირება დაახლოებით იანვრის ბოლოსთვის მოხდება. ასევე აღნიშნა, რომ გათვალისწინებული იქნება ყველა ადმინისტრაციული ერთეულის პოზიცია.

გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა ლევან ჩხაიძემ აღნიშნა, რომ დღევანდელ ნუსხაში პირდაპირ ნაჩვენებია, რომ ორი წლის განმავლობაში ნახევარ მილიონზე მეტი ოდენობის თანხის ბაღი შენდება ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში.

დეპუტატმა ელისო ჭიჭინაძემ კითხვა დაუსვა სამსახურის უფროს ლევან ჩხაიძეს კერძოდ, ლესაში წყლის რეაბილიტაციის საკითხთან დაკავშირებით, რომელიც დაახლოებით 80 ათას ლარამდე ჯდება, იქნებოდა თუ არა 2017 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული? დეპუტატმა ასევე აღნიშნა ხიდის მშენებლობის საკითხზეც, რაზეც ლევან ჩხაიძემ განმარტა, რომ აღნიშნული თანხაზეა დამოკიდებული, რომლის დამატებაც (დაახლოებით 700 ათასი) 2017 წლის იანვრის ბოლოსათვის მოხდება, ხოლო რაც შეეხება ხიდის მშენებლობას განმარტა, რომ ჩასმულია სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ნუსხაში.

კომისიის თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ აღნიშნა, რომ ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის საბავშვო ბაღში 84 ბავშვია. მისი განმარტებით ამ რაოდენობის ბავშვი და ასეთი მატება დანარჩენ არცერთ ადმინისტრაციულ ერთეულში არ ფიქსირდება.

დეპუტატი თეიმურაზ ალექსაია მართებულად მიიჩნევს, რომ მოხდეს 452 ათასი ლარის ქალაქზე დატოვება, გაკეთდეს ექვსი ქუჩა, ხოლო დანარჩენი გადანაწილდეს საჭირბოროტო საკითხებზე, იმიტომ რომ არსებობს ბევრი პრობლემა, რომელიც აუცილებელი გადასაწყვეტია. იგი მართებულად მიიჩნევს მოხდეს 700 ათასი ლარის გადანაწილება იმ ადმინისტრაციულ ერთეულებში, სადაც არ იგეგმება ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარება. დეპუტატი ასევე უკმაყოფილოა, რომ თავდაპირველად თანხა, რომელიც ნაწილდება ინფრასტრუქტურულ პროექტებზე არ განიხილება დეპუტატების თანდასწრებით. მისი აზრით, როცა ხდება პროექტების გადანაწილება, მხოლოდ ამის შემდგომ არიან ისინი ამ საკითხში ჩახედულები.

დეპუტატი აკაკი იმნაიშვილი მიიჩნევს, რომ ვინაიდან პრიორიტეტულ საკითხად საბავშვო ბაღები რჩება, მოხდეს 700 ათასი ლარის მიმართვა რაიონში მიმდინარე საბავშვო ბაღების მშენებლობაზე.

დეპუტატმა თემურ მარშანიშვილმა აღნიშნა, რომ ღრმადელის ადმინისტრაციული ერთეული არის ერთ-ერთი უდიდესი საარჩევნო უბანი, რომელიც ორი წელია წყლის პრობლემის წინაშე დგას. დეპუტატის თხოვნაა გათვალისწინებული იქნას აღნიშნული პრობლემა.

კომისიის თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს თავმჯდომარის მანქანა არის გაუმართავი. გასულ დღეებში მანქანას ქ. ლანჩხუთში მდებარე პირველი საშუალო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე მოძვრა წინა საბურავი, მისი აზრით აქ ფუფუნებაზე არ არის საუბარი, 21 ათასი ლარის გამოყოფა საჭიროა იმისათვის, რომ საკრებულოს თავმჯდომარემ უსაფრთხოდ შეძლოს გადაადგილება. მან ასევე აღნიშნა, რომ აუცილებელია მომავალი წლის ბიუჯეტში

გათვალისწინებული იქნას ავტომანქანის შესაძენი თანხა, რასაც დეპუტატთა უმრავლესობა დაეთანხმა.

დეპუტატმა დარეჯან ბურჭულაძემ რამდენიმე კითხვით მიმართა სამსახურის უფროსს ლევან ჩხაიძეს კერძოდ, რომელ ქუჩებზე ხდება ასფალტის დაგება და რკინა-ბეტონის არხის მოწყობა?, რაზეც ლევან ჩხაიძემ განმარტა, რომ ასფალტი დაიგება სტალინის, მუსხელიშვილის, დუმბაძის ნაწილი, სამების, ურუშაძის ქუჩებზე და გამგეობის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხოლო რკინა-ბეტონის არხი მოეწყობა შემდეგ ქუჩებზე: ნათლისმცემლის, თამარ მეფის მეორე შესახვევი, აღმაშენებლისა და მშვიდობის ქუჩებზე.

დეპუტატმა დარეჯან ბურჭულაძემ აღნიშნა, რომ ყველასთვის ცნობილია, რომ სკოლას მიენიჭა გმირის, ემზარ წილოსანის სახელი. მან უხერხულად იგრძნო თავი, როცა იმ ქუჩიდან მოხდა ექსკორტის გამოტარება, რომელსაც არც კვალი და საერთოდ არაფერი გააჩნდა. დეპუტატმა ასევე აღნიშნა, რომ იგი საბავშვო ბაღების მშენებლობის წინააღმდეგი არასოდეს ყოფილა, მაგრამ დაფიქსირდა ასეთი შემთხვევა, კერძოდ, როცა აშენდა თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საბავშვო ბაღი, ჯგუფის შესაქმნელად ბავშვების სესხება დაიწყო ერთმანეთში. დეპუტატი თვლის, რომ როცა იწყება რაიმეს მშენებლობა უნდა იყოს იმის სტატისტიკური მონაცემები, თუ რამდენად დაიტვირთება აღნიშნული შენობა. იგი ასევე დაინტერესდა დაიტვირთებოდა თუ არა მთლიანად შუხუთისა (გათვლილია 4 ჯგუფზე) და ნიგოითის (გათვლილია 60 ბავშვზე) საბავშვო ბაღი, რადგან ვერავინ აიძულებს მშობელს თუ რომელ ბაღში უნდა მიიყვანოს ბავშვი, რაზეც ლევან ჩხაიძემ განმარტა, რომ ქალაქის ბავშვების ნაწილი გადანაწილდება შუხუთის ადმინისტრაციული ერთეულის საბავშვო ბაღზე.

დეპუტატი ჯუმბერ ბლაგიძე წარმოდგენილ რვა პუნქტიან ნუსხაში ეთანხმება მხოლოდ პირველ შვიდ პუნქტს, ხოლო მე-8 პუნქტი მისთვის მიუღებელია, ვინაიდან მასში მხოლოდ ქალაქის ინფრასტრუქტურული სამუშაოებია გათვალისწინებული და დააყენა წინადადება ნაცვლად ქალაქისა აღნიშნული თანხა მიიმართოს სოფლებში ინფრასტრუქტურული სამუშაოების დასაფინანსებლად.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნებით.

სხდომის თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 8, წინააღმდეგი 1. (თეიმურაზ ალექსაია), კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო დეპუტატმა ჯუმბერ ბლაგიძემ.

დღის წესრიგის მერვე საკითხზე ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „ლანჩხუთი-სერვისის“ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში კომისიის სხდომას გააცნო ა(ა)იპ „ლანჩხუთი-სერვისის“ დირექტორმა თენგიზ ჭიჭილეიშვილმა. მან აღნიშნა, რომ ა (ა)იპ „ლანჩხუთი-სერვისის“ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ქ. ლანჩხუთის ცენტრალური ნაწილის დაგვა-დასუფთავება, სანიაღვრე კვლების ამოწმება, სასაფლაოების მოვლა-პატრონობა, კეთილმოწყობისა და გამწვანების სამუშაოები, მათ შორის მოხეტიალე პირუტყვისაგან ნარგავების დაცვა, ზღვისპირა ზოლის მოწესრიგება. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს ემსახურება ხუთი ერთეული ნაგავმზიდი ავტომანქანა. სამი ემსახურება ქალაქის ტერიტორიას, ხოლო ორი ნაგავმზიდი ჯაპანა-გრიგოლეთს, წყალწმინდის და აცანა-მამათის მონაკვეთს. მან აღნიშნა, რომ 2017 წელში სავარაუდოდ ჩამოვა ორი ნაგავმზიდი ავტომანქანა და 150 ცალი ნაგვის ურნა, რომლებიც განთავსდება სოფლებში და მოემსახურება ორი ახალი ნაგავმზიდი. საჭირო იქნება ორი მძღოლისა და ექვსი მუშის აყვანა, ასევე საჭიროებას წარმოადგენს მუშა მოსამსახურეთა ხელფასების გაზრდა, რაც მათი დატვირთული სამუშაო პირობების სირთულით არის გამოწვეული. ასევე აღნიშნა, რომ იმის გამო, რომ ზაფხულში ზღვისპირა კურორტებზე ჩამოდის უამრავი დამსვენებელი და ტურისტი აუცილებლობას წარმოადგენს 14 კილომეტრიანი ზოლის დასუფთავება, შეძენილ უნდა იქნას ორხიდიანი მტზ 80

ტრაქტორი, რომელიც შეუფერხებლად ივლის ქვიშაზე და აიღებს სანაპიროზე განთავსებულ ნაგვის პლასტმასის 120 ლიტრის ტევადობის ურნებს და ზღვიდან გამორიყულ სხვადასხვა ნარჩენებს. ზღვისპირა ზოლის დასუფთავებისათვის საჭიროა 25 მუშა და 2 ბრიგადირი საკურორტო სეზონის განმავლობაში 5 თვე, ხოლო დანარჩენ თვეებში 1 ბრიგადირი და 8 მუშა.

თენგიზ ჭიჭილეიშვილმა აღნიშნა, რომ 2016 წლის ზაფხულში საკურორტო სეზონის დროს დავალებული იყო ზღვისპირა ზოლის დასუფთავება როგორც სამხარეო ადმინისტრაციის, ასევე გამგობის მიერ. მუშებთან და მეზოვეებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები ქ. ლანჩხუთის ცენტრალური ნაწილის დასუფთავებაზე, ხოლო 14 კილომეტრიანი სანაპირო ზოლის დასასუფთავებლად ქ. ლანჩხუთიდან ტრანსპორტით გადაყვანილ იქნა თანამშრომლები, რაც იწვევდა მეზოვეებისა და თანამშრომლების უკმაყოფილებას, რადგან სანაპირო ზოლზე ხელშეკრულებით არ იყო მუშები აყვანილი. მან აღნიშნა, რომ 2017 წლის იანვრიდან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ნაგავსაყრელი (დაკონსერვდება) გაუქმდება და ნაგავში მანქანებმა ტვირთი უნდა ჩაიტანონ მერიის ან ბათუმის ნაგავსაყრელზე, რას საწვავის გაირმაგებულ ხარჯს გამოიწვევს. ასევე არცერთ ადმინისტრაციულ ერთეულში არ არის მეზოვე. სოფლის ცენტრებში არის და კიდევ კეთდება სკვერები, რომლებიც საჭიროებენ მოვლა-პატრონობას, რაც ქალაქის ცენტრიდან დაშორების გამო გარკვეულ სიძნელეებს ქმნის. ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში საჭიროა ერთი თანამშრომელი, რომელიც ყურადღებას მიაქცევს სოფელში არსებულ სკვერს, სოფლის ცენტრალურ ნაწილს და ადმინისტრაციულ შენობას. ასევე მოსაწყობია პირუტყვის ჩიხი, რომელიც არ არსებობს და რომლისთვისაც საჭიროა ორი ზედამხედველი. ჩიხის მოწყობის შემთხვევაში დაცული იქნება ქალაქის ტერიტორია მოთარეშე პირუტყვისაგან.

მან ასევე აღნიშნა, რომ ა(ა)იპ „ლანჩხუთი-სერვის“ უზურფრუქტით აღებული აქვს ჟორდანიას ქ. #76-ში მდებარე შენობის გარკვეული ნაწილი, სადაც ჩასატარებელია შენობის სახურავის და ოთახების სარემონტო სამუშაოები, რადგან წვიმის დროს ჩამოდის წყალი, შენობის სახურავი არის ავარიული, რამოდენიმე ოთახში შესაცვლელია იატაკი. გამომდინარე აქედან სამსახურის ხარჯები მოითხოვს გაზრდას.

დეკლარატმა თემურ მარშანიშვილმა აღნიშნა, რომ საჭიროა დაიდგას სანაგვე ურნები ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში.

წარმოდგენილი ანგარიში მოსმენილი იქნა კომისიის წევრების მიერ.

დღის წესრიგის მერვე საკითხზე ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „ტექ-სერვისის“ მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში კომისიის წინაშე უნდა წარმოედგინა ამავე ა(ა)იპ დირექტორს ირაკლი ჩხაიძეს, მაგრამ მათი სამსახურეობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, გარკვეული მიზეზების გამო ის ვერ დაესწრო საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომას, რისთვისაც მან ბოდიში მოუხადა კომისიის თავმჯდომარეს ბესიკ ტაბიძეს.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე:



ბესიკ ტაბიძე